# სავალუტო გარიგების მომსახურების წესი

თბილისი
იანვარი, 2024 წ.

სარჩევი

1. შესავალი ..... 2
2. განმარტებები ..... 3
3. ძირითადი პირობები და კომუნიკაცია მხარეთა შორის ..... 5
4. ფასდადების პოლიტიკა ..... 6
5. სავალუტო გარიგების შესრულება/შეუსრულებლობა ..... 7
6. დავები ..... 8
7. ცვლილებები ..... 8

## 1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სს „კრისტალის“ (შემდგომში კომპანია) შიდა ნორმატიულ დოკუმენტს, რომლის მიზანია აღწეროს კომპანიას (როგორც „ბაზრის მონაწილესა“ ) და კლიენტს შორის სავალუტო გარიგებასთან და ვაჭრობასთან დაკავშირებულ ძირითადი ასპექტები.

- ეფექტური, სამართლიანი, ღია და სათანადო გამჭვირვალე ბაზრის განვითარების მიზნით, კლიენტთან ურთიერთობაში კომპანია ხელმძღვანელობს სავალუტო ბაზარზე საქმიანობის ზოგადი წესებით, მოქმედი კანონმდებლობითა და FX გლობალური კოდექსით (შემდგომში FX კოდექსი) დადგენილი წესების მიხედვით;
- აღნიშნული დოკუმენტი ადგენს მხოლოდ ბაზრის მონაწილესა და კლიენტს შორის ურთიერთობის ზოგად სტანდარტებს და არ გააჩნია იურიდიულად მავალდებულებელი ძალა. შესაბამისად, მომსახურების განხორციელებისას კომპანიის მიერ კლიენტისთვის გაცხადებული ზოგადი წესები და პირობები, ასევე კლიენტსა და კომპანიას შორის არსებული შეთანხმებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება წინამდებარე დოკუმენტს, მიიჩნევა უპირატესი ძალის მქონედ.
- გარიგების დადების დროს, ბაზრის მონაწილე არ მოქმედებს როგორც კლიენტის ნდობით აღჭურვილი პირი ან მრჩეველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი სახის ურთიერთობა წინასწარ არის შეთანხმებული წერილობით მხარეებს შორის. ნებისმიერი დადებული გარიგება აღსრულდება იმ დაშვებით, რომ კლიენტს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად, მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ცოდნის, გამოცდილების და ნებისმიერ მესამე პირთა პროფესიული რჩევების საფუძველზე, რომელიც დაეფუძნება, მათ შორის, ფინანსურ, იურიდიულ, თუ საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ ასპექტებს.

## 2. განმარტებები

- **სავალუტო ბაზარი** - სისტემებისა და წესების ერთობლიობა, რომლის მეშვეობით სავალუტო ბაზრის მონაწილეები რეგულარულად დებენ სავალუტო გარიგებებს;
- **სავალუტო ბაზრის მონაწილეები** - ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ბანკები, მიკრობანკები, საბროკერო კომპანიები, რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, მათ შორის კრისტალი;
- **სავალუტო გარიგება** - კომპანიის მიერ, კლიენტთან ან/და სავალუტო ბაზრის სხვა მონაწილესთან ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებით დადებული ნებისმიერი გარიგება;
- **წინსწრებით ვაჭრობა** - ქმედება, სადაც სავალუტო ბაზრის მონაწილე, რომელსაც წინასწარ აქვს კლიენტის დავალების შესახებ ინფორმაცია, წინასწარ დებს გარიგებას პირადი სარგებლის მიღების მიზნით.
- **წინარე ჰეჯირება** - სავალუტო პოზიციის გახსნა, ან მსგავსი ქმედება რომელიც უკავშირდება კლიენტის მოსალოდნელ დავალებას, თუმცა მიზნად არ ისახავს კლიენტისთვის მდგომარეობის გაუარესებას და არ იწვევს სავალუტო ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლას;
- **ანგარიშსწორების ინსტრუქცია** - სავალუტო ბაზრის მონაწილესა და კლიენტს შორის, წინასწარ შეთანხმებული წესების და პირობების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება გარიგების ანგარიშსწორებისთვის;
- **პრინციპალი მოვაჭრე** - სავალუტო ბაზრის მონაწილე, რომელიც კლიენტთან დებს სავალუტო გარიგებას საკუთარი სახელით, თანმდევი რისკის გათვალისწინებით;
- **აგენტი მოვაჭრე** - სავალუტო ბაზრის მონაწილე, რომელიც კლიენტის დავალების აღსრულების მიზნით, სავალუტო ბაზარზე ახდენს კლიენტის მოთხოვნის განთავსებას შემდგომი გარიგების დადების მიზნით, სავალუტო რისკის აღების გარეშე;
- **კონტრაჰენტი** - სავალუტო ბაზრის მონაწილის (კრისტალის) მიერ დადებული სავალუტო გარიგების მეორე მხარე.

## 3. ძირითადი პირობები და კომუნიკაცია მხარეთა შორის

3.1. კლიენტს შეუძლია კომპანიასთან სავალუტო გარიგება დადოს როგორც კონტრაჰენტმა, მოითხოვოს გარიგების კურსი და შეათანხმოს სასურველი პირობები, სადაც კრისტალი მოქმედებს მხოლოდ როგორც პრინციპალი მოვაჭრე, კლიენტთან გარიგებას დებს საკუთარი სახელითა და რისკით. კრისტალი არ ასრულებს ოპერაციებს როგორც აგენტი მოვაჭრე;

3.2. სავალუტო გარიგების დადებისთვის აუცილებელი პირობა არ არის ხელშეკრულების გაფორმება ბაზრის მონაწილესა და კლიენტს შორის, გარიგება შესაძლებელია დაიდოს კლიენტის მიერ განაცხადის გაგზავნით კრისტალის მიერ შეთანხმებული (3.6. პუნქტში აღწერილი) ნებისმიერი არხით.

3.3. ბაზრის მონაწილე ვალდებულია კლიენტთან კომუნიკაცია აწარმოოს ზუსტად, ნათლად, გარკვევით და გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა შეცდომაში არ შეიყვანოს კლიენტი. ამ მიზნით, ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია სავალუტო ბაზრის შესახებ, ბაზრის ზოგადი ტენდენციების, წინასწარი კვლევებისა და ძირითადი ასპექტების გათვალისწინებით. აღნიშნული ქმედების განხორციელებისას კრისტალი მოქმედებს კონფიდენციალურობის სრული დაცვით, რაც არ იძლევა კონკრეტული სუბიექტის ან/და კონკრეტული გარიგების იდენტიფიცირების საშუალებას.

3.4. ბაზრის მონაწილე ვალდებულია წინარე ჰეჯირების შესახებ შეატყობინოს კლიენტს; ბაზრის მონაწილემ კლიენტს უნდა აუხსნას ყველა ის რისკი, რომელიც ამ ქმედებასთან არის დაკავშირებული. წინარე ჰეჯირება უნდა განხორციელდეს იმ განზრახვით, რომ არ გაუარესდეს კლიენტის მდგომარეობა. წინარე ჰეჯირებისას მიღებული ნებისმიერი მატერიალური სარგებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს;

3.5. ბაზრის მონაწილესა და კლიენტს შორის სავალუტო გარიგებასთან დაკავშირებული კომუნიკაცია შესაძლებელია მოხდეს მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებული ნებისმიერი საკომუნიკაციო არხის საშუალებით;

3.6. ბაზრის მონაწილე კლიენტთან კომუნიკაციას ახორციელებს ხაზინის სატელეფონო ცენტრის, ელექტრონული ფოსტის და ასევე შეტყობინების გაგზავნის სხვა საშუალებებით, როგორიც არის Bloomberg ჩეთი და კომპანიაში დადგენილი სხვა საკომუნიკაციო საშუალებები.

3.7. ბაზრის მონაწილე უფლებას იტოვებს კომუნიკაციის დროს, თუ ეს დრო განგრძობითია და სავალუტო ბაზარზე შეიცვალა სიტუაცია, შეცვალოს კლიენტისთვის მიწოდებული პირობები.

3.8. ბაზრის მონაწილე ვალდებულია კომუნიკაციის დროს (მხოლოდ 3.6. პუნქტში აღწერილ არხებში) ორმხრივად შეთანხმებული პირობებით მოემსახუროს კლიენტს და დაადასტუროს გარიგება.

3.9. ბაზრის მონაწილესა და კლიენტს შორის დადებულ გარიგებაში ცვლილების შეტანა, ისევე როგორც გაუქმება შესაძლებელია ორმხრივი თანხმობის საფუძველზე (3.6. პუნქტში დაფიქსირებული არხების მეშვეობით).

3.10. ბაზრის მონაწილეს შეუძლია გააცნოს კლიენტს მხოლოდ ბაზრის ზოგადი ტენდენციები, კონფიდენციალურობის დაცვით მიაწოდოს სავალუტო ბაზარზე არსებული ზოგადი ინფორმაცია, ყოველგვარი კონკრეტული სუბიექტის ან კონკრეტული გარიგების იდენტიფიკაციის გარეშე;

3.11. სავალუტო ოპერაციასთან დაკავშირებით კომუნიკაციისას ბაზრის მონაწილეს ვალდებულია, კლიენტს აცნობოს, მის მიერ განხორციელებული წინასწარი კვლევების, ან ქმედებების შესახებ (მათ

შორის წინარე ჰეჯირების შესახებ), რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კლიენტის მოთხოვნის შესრულების პირობებზე;

3.12. კლიენტთან მომსახურების გაწევისას, კრისტალს გააჩნია ინფორმაციის დაცვის შესაბამისი მექანიზმები, რომელიც იცავს კლიენტის კონფიდენციალურ ინფორმაციას ნებისმიერი უნებართვო წვდომისაგან როგორც მესამე პირების, ასევე ნებისმიერი სხვა არაუფლებამოსილი პირისაგან.

3.13. როგორც პრინციპალი მოვაჭრე, ფასდადებისას კრისტალი, ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა კონკრეტული ტიპის ტრანზაქციაზე ბაზარზე არსებული ლიკვიდობა, გარიგების მოცულობა, კომპანიის მოგება, საკრედიტო და სავალუტო რისკი, ვაჭრობის საოპერაციო ხარჯები და სხვა. ბაზრის მონაწილე ადასტურებს, რომ ფასდადება არის სამართლიანი და გონივრული, შეესაბამება გასაწევი მომსახურების ეკონომიკურ ხარჯებსა და სავალუტო ბაზრის მონაწილის მიერ აღებულ რისკებს (იხ. თავი #4);

3.14. ფორვარდული და სვოპ გარიგების კურსის ფასწარმოქმნა ეფუძნება მის ვადიანობას და კონკრეტული სავალუტო წყვილის მიმდინარე გაცვლით კურსს, რომელიც კორექტირებულია შესაბამისი ვალუტების საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობის და კლიენტის საკრედიტო რისკის მიხედვით.

3.15. კლიენტი უფლებამოსილია, სავაჭრო მოთხოვნა განათავსოს ბაზრის მონაწილესთან წინასწარ შეთანხმებული წესის მიხედვით. ბაზრის მონაწილე არ არის ვალდებული, მიიღოს კლიენტის მოთხოვნა და იმოქმედოს მის საფუძველზე ან დადოს გარიგება, გარდა კანონმდებლობითა და კლიენტთან არსებული შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა;

3.16. აკრძალულია ბაზრის მონაწილის მიერ წინსწრებით ვაჭრობა, რაც წარმოადგენს ისეთ ქმედებას ან ქმედებათა ერთობლიობას, როდესაც ბაზრის მონაწილე ფლობს ინფორმაციას კლიენტის დავალების შესახებ წინასწარ და პირადი სარგებლის მიღების მიზნით დებს გარიგებებს სავალუტო ბაზარზე პირდაპირ ან არაპირდაპირ (მესამე პირის მეშვეობით).

3.17. სავალუტო ბაზრის მონაწილეს ეკრძალება ისეთი გარიგებების დადება სავალუტო ბაზარზე, რომელიც მიზნად ისახავს ბაზრის ფასებით ხელოვნურად მანიპულირებას, მათ შორის ოფიციალური გაცვლითი კურსით ხელოვნურად მანიპულირება, სავალუტო ბაზრის თავისუფალი და სამართლიანი ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლას და ეკონომიკური სარგებლის მიღებას საბაზრო ფასზე ხელოვნურად ზემოქმედების გზით.

3.18. აკრძალულია ბაზრის მონაწილის მიერ ნებისმიერი ქმედების განხორციელება, რაც მიზნად ისახავს კონკურენციის შეზღუდვას. კლიენტსა და ბაზრის მონაწილეს შორის სავალუტო ოპერაციასთან დაკავშრებით გარიგების დადება არ ზღუდავს კლიენტის უფლებას მიიღოს იგივე მომსახურება ბაზრის სხვა მონაწილისგან.

## 4. ფასდადების პოლიტიკა

4.1. ბაზრის მონაწილის ფასდადების პოლიტიკა მოიცავს საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების დაცვას, რაც გულისხმობს კლიენტისთვის გამჭირვალობას, ხელმისაწვდომობას, სამართლიანობას.

4.2. ბაზრის მონაწილე ადასტურებს, რომ ფასდადება არის სამართლიანი და გონივრული, შეესაბამება გასაწევი მომსახურების ეკონომიკურ ხარჯებსა და სავალუტო ბაზრის მონაწილის მიერ აღებულ რისკებს.

4.3. ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია, ფასდადებისას გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, რომელიც მოიცავს:

- გარიგების ზომას ან / და სირთულეს,
- ლიკვიდობას, საკრედიტო ხარჯებს,
- ბალანსის უწყისს და კაპიტალს,
- რისკის ლიმიტს, ვაჭრობის საპროცესო ხარჯებს, გაყიდვების მცდელობებს, შესაბამისად, ბაზრის მონაწილემ შეიძლება შესთავაზოს კლიენტს განსხვავებული ფასები იმავე ან მსგავსი გარიგებების დროს.

4.4. პროდუქტებისა და მომსახურების ფასდადება ხდება მათი ეკონომიკური დანახარჯების გათვალისწინებით და შესაძლოა ერთი და იგივე მოცულობასა და ვალუტაზე სხვადასხვა ფასი იქნებ შეთავაზებული სხვადასხვა კლიენტისთვის.

4.5. ბაზრის მონაწილე რამდენიმე პროდუქტის ერთ პაკეტად შეთავაზების შემთხვევაში:

a) კლიენტს აწვდის ინფორმაციას პროდუქტების როგორც ჯამური ფასის, ასევე პაკეტის თითოეული შემადგენელი პროდუქტის ცალკეული ფასის შესახებ;

b) ვალდებულია გაამჟღავნოს ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია პაკეტის იმ კომპონენტის შესახებ, რომელიც არ მონაწილეობს პაკეტის ფასდადებაში, ასევე მიაწოდოს ინფორმაცია დაკავშირებული რისკების შესახებაც, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

c) განუმარტოს კლიენტს, შესაძლებელია თუ არა პაკეტის ცალკეული შემადგენელი მომსახურების/პროდუქტის დამოუკიდებლად შეძენა;

d) თუ შესაძლებელია, უზრუნველყოს კლიენტის უფლება, სურვილისამებრ შეწყვიტოს პაკეტის ცალკეული მომსახურებით/პროდუქტით სარგებლობა.

4.6. კლიენტისა და ბაზრის მონაწილეს შორის, ფინანსური ურთიერთობა წესრიგდება ბაზრის მონაწილის მიერ წინასწარ შეთავაზებული ტარიფებითა და კლიენტთან დადებული ორმხრივი შეთანხმების მიხედვით.

4.7. ბაზრის მონაწილე ვალდებულია, არ დაუწესოს კლიენტს სამართლიანზე მეტი საკომისიო ან მომსახურების ანაზღაურება, ამასთან დაკავშირებული ყველა გარემოების გათვალისწინებით.

4.8. ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები (დამატებები) მომსახურების ტარიფებში. აღნიშნულის შესახებ ბაზრის მონაწილე კლიენტის ინფორმირებას მოახდენს წინასწარ ერთი თვით ადრე.

## 5. სავალუტო გარიგების შესრულება/შეუსრულებლობა

5.1. ბაზრის მონაწილე სავალუტო გარიგების აღსრულებისას მოქმედებს სამართლიანად და გამჭვირვალედ, რაც მოიცავს სავალუტო გარიგების დადების დროულ/სწრაფ უზრუნველყოფას, დადასტურებასა და შემდეგ ანგარიშსწორებას წინასწარ შეთანხმებული ძირითადი ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით კონკრეტული პლატფორმისთვის დადგენილი წესებითა და პროცესებით;

5.2. მხარეებს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება დადებული გარიგების პირობების შესაბამისად გარიგებაში მითითებულ ანგარიშსწორების დღეს.

5.3. კლიენტთან გარიგების დადებისასთანავე ბაზრის მონაწილეს უფლება ეძლევა მომენტალურად მოახდინოს სავალუტო გარიგებით გათვალისწინებული ოპერაციის შესრულება და არ დაელოდოს კლიენტის დამატებით შეტყობინებას (ბაზრის მონაწილემ უნდა იხელმძღვანელოს კლიენტის

საუკეთეო ინტერესებით და იმოქმედოს ისე, რომ კლიენტისთვის მიიღოს ყველაზე ხელსაყრელი პირობები).

5.4. კლიენტს უფლება აქვს ბაზრის მონაწილეს მიაწოდოს კონკრეტული ანგარიში, რომელზეც სურს რომ შესრულდეს ვალუტის გაცვლის ოპერაცია.

5.5. ფორვარდული გარიგებების ანგარიშსწორება ხდება აღნიშნული გარიგებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად.

## 6. დავები

6.1. კლიენტს მომსახურების პროცესში უნდა განემარტოს მისი უფლებები, კერძოდ:

a) კლიენტი უფლებამოსილია, მიმართოს ბაზრის მონაწილის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წერილობითი განცხადების დაფიქსირებით ან/და სატელეფონო ნომრის მეშვეობით: 0 322 022 020, https://crystal.ge/.

b) ან მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ცხელ ხაზზე - 0322 406 406, info@nbg.gov.ge;

c) მიმართოს ფინანსური ბაზრების ხაზინების ასოციაციის შესაბამის სამსახურს - 0322 900 872, secretary@gfmta.ge.

6.2. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო (https://www.court.ge/geo_courts) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 7. ცვლილებები

7.1. აღნიშნულ დოკუმენტში სს „ კრისტალი“-ს მიერ შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის მისი ვებ-გვერდზე , https://crystal.ge/ განთავსებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის გასვლისთანავე.